

დამტკიცებულია:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ

სხდომის ოქმი № 4, 2018 წლის 17 თებერვლის

დადგენილება №14



სსიპ სამცხე-ჯავახეთის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზარისხის უზრუნველყოფის  
მექანიზმები

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|          |                                                                                                                                                                                                    |    |
|----------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| მუხლი 1. | ზოგადი დებულებები -----                                                                                                                                                                            | 4  |
|          | მარეგულირებელი დოკუმენტები -----                                                                                                                                                                   | 4  |
| მუხლი 2. | უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, ხარისხის კულტურა, ხარისხის კვლევის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა უნივერსიტეტის ბიზნეს-პროცესების უწყვეტობაში ----- | 5  |
|          | 1. უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მიზნები, ამოცანები, სახელმძღვანელო პრინციპები ---                                                                           | 6  |
|          | 2. ხარისხის კულტურა -----                                                                                                                                                                          | 6  |
|          | 3. ხარისხის კვლევის მეთოდოლოგია, მიზანი და ამოცანები, რეაგირების მექანიზმები -----                                                                                                                 | 8  |
|          | 4. ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა უნივერსიტეტის ბიზნეს-პროცესების უწყვეტობაში -----                                                                                                                  | 11 |
| მუხლი 3. | სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემა -----                                                                                                     | 12 |
| მუხლი 4  | სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია -----                                                      | 21 |
|          | 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია -----                                                                                                                  | 21 |
|          | 2. საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის შექმნის მეთოდოლოგია -----                                                                                                                | 24 |
|          | 3. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა -----                                                                                                                                             | 29 |
|          | 4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება -----                                                                                                                                                     | 32 |
|          | 5. პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი -----                                                                                                           | 33 |
|          | 6. გარე ხარისხის შეფასება -----                                                                                                                                                                    | 34 |
|          | 7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება -----                                                                                                                                                        | 35 |
|          | 8. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება -----                                                                                                                                               | 36 |
|          | 9. პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ -----                                                                                                                                                     | 38 |
| მუხლი 5. | სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი -----                                                                                 | 42 |
|          | 1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია -----                                                                                             | 42 |

|                  |                                                                                                            |           |
|------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
|                  | 2. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი -----                                           | 43        |
| <b>მუხლი 6.</b>  | <b>სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია -----</b>    | <b>44</b> |
|                  | სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია -----                                                          | 44        |
|                  | სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები -----                                                | 44        |
|                  | სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის რაოდენობრივი მახასიათებლები -----                                        | 46        |
| <b>მუხლი 7.</b>  | <b>საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარმოდგენის სავალდებულო ფორმა -----</b> | <b>47</b> |
| <b>მუხლი 8.</b>  | <b>სილაბუსის შემუშავების ინსტრუქცია და სილაბუსის სავალდებულო ფორმა-----</b>                                | <b>74</b> |
| <b>მუხლი 9.</b>  | <b>სწავლებისა და სწავლის მეთოდების გზამკვლევი -----</b>                                                    | <b>88</b> |
| <b>მუხლი 10.</b> | <b>დასკვნითი დებულება -----</b>                                                                            | <b>92</b> |
|                  | სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის ფორმები -----           | 93        |
|                  | ა) პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევა -----                                                                | 93        |
|                  | ბ) ბაკალავრების კმაყოფილების კვლევა -----                                                                  | 97        |
|                  | გ) მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა -----                                                                | 107       |
|                  | დ) დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა -----                                                                 | 112       |
|                  | ე) რეცენზენტის/რეცენზენტების შეფასების კითხვარი -----                                                      | 122       |
|                  | ვ) კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა -----                                                           | 124       |
|                  | ზ) აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა -----                                                         | 127       |
|                  | თ) დამსაქმებლის კვლევა (ა) (ბ)- -----                                                                      | 131       |
|                  | ი) პრაქტიკის ხელმძღვანელის კმაყოფილების კვლევა -----                                                       | 138       |

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

### 1. მარეგულირებელი დოკუმენტები

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტია, რომელიც შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის მაისის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3, 2007 წლის 5 იანვარი, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების“ შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №52/ნ, 2014 წლის 13 მაისი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №7 დადგენილებით, 27.03.2019 წ.); „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015 სახელმძღვანელო“, სსიპ სამცხე-

ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ („დამტკიცებულია” სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №35, 14.06.2019 წ. ოქმი №8), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები“ (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ცენტრის დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის №74 ბრძანებით დამტკიცებული „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესი“. ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომები <https://www.eqar.eu/kb/joint-programmes>, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

## მუხლი 2.

უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, ხარისხის კულტურა, ხარისხის კვლევის მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა უნივერსიტეტის ბიზნეს-პროცესების უწყვეტობაში

### 1. უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მიზნები და ამოცანები

1.1. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო სივრცეში უმთავრესი საკითხია, ხოლო ხარისხის გაუმჯობესება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის შენარჩუნებასა და მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული. ხარისხის უზრუნველყოფის ცნება ყველა დაგეგმილ და სისტემურ ქმედებას, მათ განხორციელებასა და მონიტორინგს მოიცავს: კვლევას, ანალიზს, განსაზღვრული ნორმის შეფასებას, მიგნებების გამოკვეთას, რეკომენდაციებს, დასკვნებს, მოთხოვნებს, ასევე, სხვადასხვა მექანიზმსა და სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფა მრავალეტაპიანია. ამ ეტაპებში შედის:

- დიზაინი;
- განვითარება;

- წარმოება;
- დანერგვა;
- მომსახურება;
- დოკუმენტაციის აღრიცხვა.

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას;

1.2. ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტუდენტების, მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების, ყველა სხვა დაინტერესებული მხარის ასაჭიროებებსა და მოლოდინებს, რადგან უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება: სტუდენტების მომზადება აქტიური მოქალაქეობისა და მათი მომავალი კარიერისათვის; სტუდენტების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; ცოდნის ფართო, მოწინავე ბაზის შექმნა, კვლევისა და ინოვაციის ინტეგრირება. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა შესაძლებელია განსხვავებულ მიზნებს მიანიჭონ პრიორიტეტი და უმაღლესი განათლების ხარისხი განსხვავებულად განიხილონ, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა გაითვალისწინოს.

1.3. ხარისხი ძირითადად სტუდენტს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სასწავლო გარემოს შორის ინტერაქციის შედეგია. ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც პროგრამის შინაარსი, სწავლის შესაძლებლობები და საშუალებები შესაბამისობაშია დასახულ მიზანთან, უნივერსიტეტის მისიასთან.

1.4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მთავარი მიზანი ანგარიშვალდებულება და განვითარებაზე ზრუნვაა, რაც ქმნის ნდობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მიმართ.

## 2. ხარისხის კულტურა

2.1. უნივერსიტეტის ხარისხის კულტურა პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციულ კულტურასთან, რომელიც მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის განვითარებაზე და ხასიათდება ორი განსხვავებული ელემენტით: ერთი მხრივ, იგი მოიცავს საერთო ღირებულებების, რწმენის, მოლოდინებისა და ვალდებულებების კულტურულ-ფსიქოლოგიურ ელემენტებს, ხოლო მეორე მხრივ, პროცესებით განსაზღვრული სტრუქტურებისა და მენეჯმენტის ელემენტებს, რომლებიც ზრდიან ხარისხს და უზრუნველყოფენ ინდივიდუალური და ჯგუფური ძალისხმევის კოორდინაციას.

2.2. ხარისხის კულტურის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს მენეჯმენტსა და პერსონალს კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება დელეგირების პრინციპს. ძირითადი პასუხისმგებლობა, ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, თუმცა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური/მოწვეული პერსონალი სრულად უნდა იყოს ჩართული ხარისხის უზრუნველყოფაში. სპეციფიკური პასუხისმგებლობები უნდა გადანაწილდეს დელეგირების პრინციპის შესაბამისად. ხარისხის კულტურა არის ცალკეული კადრებისა და კოლექტიური ორგანიზაციული ვალდებულების შედეგი, რომელიც უწყვეტი გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ამგვარ კულტურაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები მოიაზრება როგორც გაუმჯობესებისა და განვითარების საშუალება. ხარისხის კულტურა ემყარება თანმიმდევრულ, ერთიან და ჩართულობაზე ორიენტირებულ ხარისხის სისტემას, რომელიც:

- o მჭიდროდაა დაკავშირებული ინსტიტუციურ ცვლილებებთან;
- o ეფუძნება გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურ შიდა პროცესებსა და სტრუქტურას;
- o კონტექსტისადმი მგრძნობიარეა და ითვალისწინებს განსხვავებულ ორგანიზაციულ და დისციპლინურ კულტურას;
- o ორიენტირებული და დაფუძნებულია არა დასჯაზე, არამედ განვითარებაზე.
- o იგი ასახავს მომწოდებლის ავტონომიურობასა და თავდაჯერებულობას, პერსონალისადმი და სტუდენტებისადმი ვალდებულებასა და უკუკავშირს.

2.3. ხარისხის კულტურის დანერგვისათვის საჭიროა უნივერსიტეტმა იხელმძღვანელოს მიდგომით: სტანდარტიზაციისა და ღონისძიებების სისტემატიზაციის პროცესში გაითვალისწინოს ადმინისტრაციულ და აკადემიურ ერთეულებს შორის განსხვავებები; შეიმუშაოს ისეთი კრიტერიუმები და ნორმები, რომლის მიხედვითაც წარმატებები და გასაუმჯობესებელი მხარეები კონსტრუქციული და გამჭვირვალე ფორმით იქნება მისაღები.

2.4. ხარისხის კულტურა ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციაში ხარისხზე პასუხისმგებელია ყველა თანამშრომელი და არა მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2.5. ხარისხის კულტურის განვითარების მიზნით, საჭიროა ინსტიტუციაში ყველა მონაწილეს ჰქონდეს მის მიმართ კუთვნილების განცდა, რათა წვლილი შეიტანონ უნივერსიტეტის განვითარებაში.



2.6. ხარისხის კულტურის კიდევ ერთი მაჩვენებელი არის მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გათვალისწინება. ამასთან, უნივერსიტეტში არსებულ გამოკითხვაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები/ ცვლილებები გაზიარებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებთან.

### 3. ხარისხის კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის მიზანი და ამოცანები, რეაგირების მექანიზმები

3.1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის თანამედროვე უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული ერთეულების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების ჩართულობა.

3.2. უნივერსიტეტი სტუდენტებისა და თითოეული პერსონალის ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ ასეთი ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების დონის ამაღლებაზე. რადგან რესპოდენტს საშუალება ექნება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილებები, მას გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება სასწავლო/სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში და უნივერსიტეტის ხარისხის კულტურაში.

3.3. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კვლევებისათვის საჭირო კითხვარები. დანერგილია მათი დამუშავებისა და შედეგების განხილვის მეთოდოლოგია, რადგან კითხვარი ყოველთვის რესპოდენტის ცხოვრებაში შეჭრაა და რესპოდენტი ითვლება ინფორმაციის აქტიურ მომწოდებლად, ამიტომ დაცული უნდა იყოს რესპოდენტის ანონიმურობა.

3.4. კითხვარების დამუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს წინასწარ შედგენილ კითხვებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების გაანალიზებას, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (შეხვედრები რესპოდენტთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები/გამოკითხვები), დასკვნების გამოტანას, რეკომენდაციების შემუშავებას, სტუდენტების, შესაბამისი სამსახურის ან/და პერსონალის ინფორმირებულობას და უკუკავშირისთვის რეაგირებას. PDCA ციკლის უწყვეტობისთვის კვლავ ხდება სარეკომენდაციოდ გაცემული საკითხების შესრულებაზე მონიტორინგი, პრობლემის ან საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე.



3.5. კვლევის მიზანია უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

3.6. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. ამ მიზნით სისტემურად ახლდება სტრუქტურირებული და ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარების მატრიცა, ნაწილი მოდულების სახით, ნაწილი კი - ღია და დახურული კითხვების სახითაა შემუშავებული. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის სტუდენტები. ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის შემუშავებულია: პირველკურსელთა კვლევა საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით და ბაკალავრების კვლევა პროგრამული და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით. მაგისტრანტებისთვის შემუშავებულია კითხვარი პროგრამული და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით. კვლევა ტარდება Google-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

3.7. კვლევა ითვალისწინებს:

- კვლევის მიზნის, ამოცანის იდენტიფიცირებას. მიგნებების გამოკვეთას, დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციების შემუშავებას.
- ინსტიტუციური ხასიოთის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევის შედეგებთან და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე).
- ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;
- ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;
- შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.
- კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

3.8. გამოკითხვის ვადები და პერიოდები განსაზღვრულია ამავე დოკუმენტის მუხლი 3. „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა“ დანართი 1-ის შესაბამისად.

#### 4. ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა უნივერსიტეტის ბიზნეს-პროცესების უწყვეტობაში

| რისკის კატეგორია: სტრატეგიული     |                                               |                                                               |                  |                                                                                   |                                                                                                         |                                                                        |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
|-----------------------------------|-----------------------------------------------|---------------------------------------------------------------|------------------|-----------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რისკი                             | ხდომილების ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი) | ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე (მაღალი, საშუალო, მცირე) | მოცდენის პერიოდი | ქმედება                                                                           | პრევენციული ქმედება                                                                                     | პასუხისმგებელი ერთეული                                                 | გეგმა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| ავტორიზაცია/აკრედიტაციის დაკარგვა |                                               |                                                               |                  |                                                                                   |                                                                                                         |                                                                        |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| აკრედიტაცია                       | დაბალი                                        | მაღალი                                                        | 1 წელი           | სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა; პროგრამის განახლება;                        | - სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შესრულების მონიტორინგი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელი; დეკანი       | 1. აკრედიტაციის მინიჭებისა და პროგრამის მოქმედების ვადების კონტროლი;<br>2. აკრედიტაციის რეკომენდაციებზე ანგარიშის წარდგენის ვადების კონტროლი;<br>3. აკრედიტებულ პროგრამებზე 3 წლიანი ანგარიშის მომზადების პროცესების მონიტორინგი;<br>4. რეაკრედიტაციისთვის პროგრამის მომზადება;<br>5. ახალი (რეგიონის მოთხოვნაზე ორიენტირებული) პროგრამების შემუშავება;<br>6. სადოქტორო საფეხურის პროგრამების შემუშავება.<br>7. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევების ანალიზი და უკუკავშირი ხელმძღვანელობის მხრიდან;                                                                                                                                              |
| ავტორიზაცია                       | დაბალი                                        | მაღალი                                                        | 1 წელი           | სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა; ავტორიზაციისთვის ხელახალი განაცხადის შეტანა | - სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შესრულების მონიტორინგი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; რექტორი | 1. ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების მიზნით თვითშეფასების ჯგუფის ფორმირება და ფუნქციების დანაწილება, შესრულებისა და ანგარიშების წარმოდგენის ვადების განსაზღვრა.<br>2. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში აქტივობების დამატება;<br>3. დისტანციური სწავლების შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება და საჯაროება.<br>4. დისტანციური სწავლების უწყვეტ რეჟიმში განხორციელების მიზნით მონიტორინგის ჯგუფისა და მათი ფუნქციების ფორმულირება.<br>5. დისტანციური სწავლებისას სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი ხარისხის სამსახურების კვლევების საშუალებით.<br>6. ფაკულტეტებზე ხარისხის სპეციალისტებთან ერთად შედგეს კომუნიკაციების გეგმა, შემდეგი |

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

|                                |         |        |            |                        |                                                                                                                                                            |                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|--------------------------------|---------|--------|------------|------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                |         |        |            |                        |                                                                                                                                                            |                                                                                                 | <p>აქტივობებით:</p> <p>ა) პროგრამის შედეგების შეფასება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად;</p> <p>ბ) სტუდენტთა საჭიროებების იდენტიფიცირება ტექნიკური, თუ არატექნიკური სფეროს საკითხებთან (ინტერნეტზე წვდომა, მატერიალურ/ტექნიკური ბაზა) და სხვ.</p> <p>გ) ადამიანური რესურსის საჭიროებების იდენტიფიცირება ტექნიკური, თუ არატექნიკური სფეროს საკითხებთან (ინტერნეტზე წვდომა, მატერიალურ/ტექნიკური ბაზა) და სხვ.</p>                                                                                                                                                                                                                 |
| შემცირებული ჩარიცხვები         | საშუალო | მაღალი | 1 სემესტრი | პროგრამების შეფასება,  | - პროგრამების გამრავალფეროვნება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;                                                                                 | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელი | <p>1. სტუდენტთა სტაბილურად ჩარიცხვების უზრუნველსაყოფად პროგრამების მოდიფიცირება შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად;</p> <p>2. ღია კარის დღეების მოწყობა და საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია.</p> <p>3. სტუდენტთა ჩარიცხვის-მოზილობის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტის მაჩვენებლების შესწავლა ბოლო ორი წლის მანძილზე. გამოკვეთილი რისკების იდენტიფიცირება და მისი გათვალისწინება მომდევნო წლის მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის შევსებისას.</p> <p>4. ჩარიცხული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის მართვის სისტემასა და ელექტრონული პლატფორმა Moodle - პროგრამაში საორიენტაციო კონსულტაციების-მეცადინეოების ჩატარება.</p> |
| ნეგატიური მედია გამოხმაურებები | საშუალო | მაღალი | -          | არგუმენტებული პასუხები | <p>- რეგულარული კონტაქტი მედიის წარმომადგენლებთან;</p> <p>- თანამშრომლობა ჟურნალისტიკის რესურსცენტრთან (TOK-TV);</p> <p>- გააქტიურებული პიარ-კამპანია;</p> | საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

|                                                         |        |        |   |                                                                                                |                                   |                                             |  |
|---------------------------------------------------------|--------|--------|---|------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------|---------------------------------------------|--|
| დაწესებულებებისადმი<br>ნდობის<br>დაკარგვა               | დაბალი | მაღალი | - | საკასუზო<br>ქმედებები;<br>აქტივობები                                                           | - გააქტიურებული<br>პიარ-კამპანია; | საზოგადოებასთან<br>ურთიერთობის<br>სამსახური |  |
| სახელმწიფოში<br>ი საომარი<br>საფრთხე ან<br>ომის დაწყება | დაბალი | მაღალი | - | საგანგებო<br>სიტუაციებში<br>სამოქმედო<br>გეგმის<br>შემუშავებისა და<br>განხორციელების<br>მზაობა |                                   | რექტრი;<br>ადმინისტრაციის<br>ხელმძღვანელი   |  |

**მუხლი 3.**

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტურ განხორციელებას, გამჭვირვალობას, უწყვეტობას, აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია და აქვს საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა.

ხარისხის განვითარების სისტემა ეფუძნება ხარისხის შიდა მექანიზმების თითოეული ფაკულტეტის განვითარების თავისებურებებს.

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ძირითადი ვექტორია:** ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისა და სამეცნიერო მუშაობის ისეთ განვითარებას, რომ უნივერსიტეტი საგანმანათლებლო სივრცეში იყოს სტუდენტების, პარტნიორების, საზოგადოების აღიარებისა და ნდობის მაგალითი.

**ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია:**

1. სწავლების, სწავლის, კვლევის და მართვის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
2. სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, შესაძლებლობების რეალიზება;
3. სწავლების ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;

აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით, რომლებიც ქმნიან ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ, ციკლურ პროცესებს;

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე (PDCA) ციკლს, რომელიც გულისხმობს შემდეგს: დაგეგმე (plan); განახორციელე (do); შეაფასე (check); განავითარე (act).

#### PDCA ციკლი გამოიყენება:

- როგორც უწყვეტი განვითარების მოდელი;
- როგორც ახალი პროექტის განვითარების შესაძლებლობა;
- როგორც პროცესის, პროდუქტის შექმნის ან ძველის გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- მონაცემთა შეგროვების და ანალიზის დაგეგმვის პროცესში პრობლემების ან გამომწვევი მიზეზების დახარისხების და პრიორიტეტიზაციის მიზნით;
- ნებისმიერი ცვლილების დანერგვისას.

#### ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტები:

ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფა;

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია სამ ძირითად მიმართულებაზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;
2. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება;
3. მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მაღალი აკადემიური სტანდარტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას, რომელთა მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას. სწავლება/სწავლის და შეფასების პროცესები არის სტუდენტზე ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ისეთი სწავლების მეთოდების მიწოდებას, რაც წახალისებს სტუდენტებს და აუმაღლებს მოტივაციას სასწავლო და სხვა აქტივობების პროცესში.

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურადაა ჩართული ყველა რგოლი;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობას;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას;
- შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;
- შემუშავებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩართულნი არიან, როგორც აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.);
- პერიოდულად ახდენს მის მიერ მოწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

#### ს წ ა ვ ლ ე ბ ა / ს წ ა ვ ლ ა

- პროცესების ხარისხი;
- პროგრამების ხარისხი;
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა;
- დასაქმების მაჩვენებელი.

### სწავლა/სწავლება

- პროცესების ხარისხის;
- პროგრამების ხარისხი;
- კურსადამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ჩარჩოს ფორმირება (პროცესები, პროცედურები, ნორმატიული აქტები);
- გაზომვად ინდიკატორებზე დაფუძნებული კომპლექსური ანგარიშგება-შეფასების სისტემის შექმნა;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსადამთავრებულების და დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში;
- სისტემური კვლევებისა და ანალიზების ჩატარება (SWOT ანალიზი);
- ანალიზის შედეგებისა და შეფასების ობიექტურობის, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფა;

### პ პ ლ ე ჯ ა

- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებისათვის გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა;
- შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციისა და პროდუქტიულობის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის, სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასება;
- სადოქტორო სწავლების გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია.



#### ხარისხის გარე უზრუნველყოფა:

- ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების დაკმაყოფილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ახალი (ბაზრის კვლევაზე დაფუძნებული) პროგრამების შემუშავება, მათ შორის ერთობლივი პროგრამები;
- პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჩართვა გარე შეფასების პროცესში;
- კოლეგების შეფასების (per-review) კულტურის დანერგვა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში.

#### თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო უსდ-ებთან

- პარტნიორ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთობლივი პროგრამების, უცხოენოვანი პროგრამების ერთობლივი და ორმაგი ხარისხით შემუშავების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების შესაბამის სტრუქტურებთან, უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით;
- საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა კოლეგიალური შეფასების, სემინარების, ტრენინგების, კონსულტაციების კუთხით;
- განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება უნივერსიტეტის სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ჩართულობის მიზნით;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ხელშეწყობა პროგრამების პოპულარიზაციის, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებში გაწევრიანების გზით.

## მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც შიდა, ასევე გარე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;

უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ანგარიშების მეშვეობით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას, რასაც იყენებს პროგრამების და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისათვის, ანუ ახდენს პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებაზე. შეფასება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას. აღნიშნული პროცედურები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესში.

უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან.

**მონიტორინგი** - როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობადი პროცესი.

**შეფასება** - სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურად სისტემური და ობიექტური შეფასება.

შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმის გააქტიურება.

დანართი 1. აქტივობა-კვლევა, პერიოდი, სტრატეგიული მიზანი და ამოცანები

| აქტივობა-კვლევა                                        | პერიოდი                      | სტრატეგიული მიზანი და ამოცანები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|--------------------------------------------------------|------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევა                     | პირველი სემესტრის დასაწყისში | <ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;</li> <li>• უნივერსიტეტზე ნეგატიური გამოხმაურების/ მოსაზრების რისკის პრევენცია;</li> <li>• უნივერსიტეტის მიერ პიარკამპანიის სწორად ორგანიზება;</li> <li>• სტუდენტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.</li> </ul>                                                                                                                          |
| ბაკალავრებისა და მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა    | ყოველწლიურად                 | <ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;</li> <li>• სტუდენტთა მხარდაჭერა;</li> <li>• სტუდენტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                       |
| დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა                      | ყოველწლიურად                 | <ul style="list-style-type: none"> <li>• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;</li> <li>• დოქტორანტის სასწავლო-სამეცნიერო რესურსებით უზრუნველყოფა;</li> <li>• დოქტორანტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;</li> <li>• ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;</li> <li>• დოქტორანტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.</li> </ul>                                                                                      |
| სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი             | ყოველსემესტრულად             | <ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება;</li> <li>• სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                       |
| სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება | ყოველსემესტრულად             | <ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;</li> <li>• სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;</li> <li>• აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი ან/და წამახალისებელი მექანიზმების გამოკვეთა;</li> <li>• ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;</li> <li>• რისკის კატეგორიის პრევენცია.</li> </ul> |
| აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა     | ყოველწლიურად                 | <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;</li> <li>• სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                    |

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

|                                                                      |                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|----------------------------------------------------------------------|------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                                      |                  | <ul style="list-style-type: none"> <li>აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი ან/და წამახალისებელი მექანიზმების გამოკვეთა;</li> <li>პერსონალზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;</li> <li>რისკის კატეგორიის პრევენცია;</li> </ul>                                                                                                                                                                                                               |
| პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება | ყოველწლიურად     | <ul style="list-style-type: none"> <li>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;</li> <li>სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;</li> <li>აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი ან/და წამახალისებელი მექანიზმების გამოკვეთა;</li> <li>რისკის კატეგორიის პრევენცია</li> </ul>                                                                                                                                                                   |
| აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება    | ყოველწლიურად     | <ul style="list-style-type: none"> <li>სამეცნიერო კვლევებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;</li> <li>კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში;</li> <li>აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი ან/და წამახალისებელი მექანიზმების გამოკვეთა;</li> <li>აკადემიური/მოწვეული პერსონალის კონტინგენტის მართვა და სამიზნე ნიშნულებთან მიახლოება;</li> <li>აკადემიური პერსონალის გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია</li> </ul> |
| ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა              | ყოველწლიურად     | <ul style="list-style-type: none"> <li>მართვის ეფექტურობის მექანიზმების გაძლიერება;</li> <li>ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი მექანიზმების იდენტიფიცირება;</li> <li>ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გადინების რისკის პრევენცია;</li> </ul>                                                                                                                                                                                            |
| ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასება                         | ყოველწლიურად     | <ul style="list-style-type: none"> <li>მართვის ეფექტურობის მექანიზმების გაძლიერება;</li> <li>ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი მექანიზმების იდენტიფიცირება;</li> <li>ალტერნატიული კადრების მოძიება, მოზიდვა;</li> <li>ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;</li> <li>ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობის შენარჩუნება და გაზრდა, სამიზნე ნიშნულებთან მიახლოება.</li> </ul>                                                            |
| მობილობის კვლევა                                                     | ყოველსემესტრულად | <ul style="list-style-type: none"> <li>სტუდენტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია.</li> <li>სტუდენტთა კონტინგენტის სწორად განსაზღვრა და სამიზნე ნიშნულებთან მიახლოება;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                          |

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

|                                                                                             |                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| კურსდამთავრებულთა კვლევა                                                                    | ყოველწლიურად    | <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა;</li> <li>• კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ხელშეწყობი მექანიზმების გაძლიერება, საუკეთესო პრაქტიკის იმპლემენტაცია.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                           |
| დამსაქმებელთა/პარტნიორთა კვლევა                                                             | ყოველწლიურად    | <ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა და პერსონალთა ცნობიერების ამაღლება;</li> <li>• ერთობლივ ღონისძიებებში/პროგრამებში ჩართულობა;</li> <li>• ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;</li> <li>• მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა;</li> <li>• ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საჭიროების გამოკვეთა;</li> <li>• სტუდენტთა სტაჟირების ხელშეწყობა;</li> <li>• კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდა.</li> </ul> |
| პრაქტიკის ხელმძღვანელის კვლევა                                                              | ყოველწლიურად    | <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა;</li> <li>• კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდა.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის კვლევები (ჩაღრმავებული ინტერვიუები, ხელმოწერა გამოკითხვა) | საჭიროებისამებრ | <ul style="list-style-type: none"> <li>• ინსტიტუციის გაძლიერების მიზნით</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |

#### მუხლი 4.

#### უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და

საფასურის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის ბრძანებას №74.

უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხიან, სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას.

#### **1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია (თვითშეფასების კულტურის დანერგვაზე ზრუნვა)**

1.1. აკრედიტაციის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი წერილობით მიმართავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (მიუხედავად იმისა, ვისგან წარმოიშობა ინიცირება) პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აგრეთვე, შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ/ ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა და სხვ.

1.4. ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის განხორციელებაზე უფლების მოსაპოვებლად, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (აკრედიტაციის მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში) განაცხადის წარდგენამდე, სულ მცირე, ექვსი თვით ადრე.



- 1.5. ფაკულტეტის დეკანის წინადადებას საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების შესახებ, თან უნდა ერთვოდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი და/ან შრომის ახალი ბაზრის/მიმართულების შექმნის/ათვისების კონცეფცია, რომელიც უნივერსიტეტისათვის ქმნის დამატებით ღირებულებებს.
- 1.6. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო გონივრულ ვადაში განიხილავს ფაკულტეტის დეკანის წინადადებას, გაეცნობა ჩატარებული კვლევის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის შემუშავების დაწყებაზე ან აცხადებს არგუმენტირებულ უარს.
- 1.7. აკადემიური საბჭოს დადებითი პასუხის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამას ენიშნება ხელმძღვანელი/ები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე, მის შეფასებასა და განვითარებაზე;
- 1.8. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
- 1.9. ფაკულტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-შემუშავებას და აკრედიტაციის მისაღებად მოსამზადებელ პროცესს ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც შესაბამისი პროგრამის სამუშაო ჯგუფს აძლევენ მიმართულებებს, წარუდგენენ მოტივირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს აკრედიტაციის სტანდარტებთან, დარგობრივ მახასიათებლებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროგრამის შესაბამისობის შესახებ.
- 1.10. პროგრამის შედგენა ხდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, დარგობრივი მახასიათებლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტში არსებული შიდა ინსტრუქციებისა და პროცედურების დაცვით.
- 1.11. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიასთან; პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები/გარე პარტნიორებთან კონსულტაციები (უკუკავშირი), დარგის სპეციფიკა/საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები;
- 1.12. პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებს და უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვ.



1.13. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი სუბიექტები (რაც დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით ან სხვა დოკუმენტებით):

- უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სამსახური - აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების, ხელშეკრულებების მომზადება;
- უნივერსიტეტის ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახური - ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროგრამის ფინანსური ბიუჯეტის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა - სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის უზრუნველყოფა, სამეცნიერო ბაზებზე წვდომა და სხვ.;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური - პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება;
- სტუდენტური თვითმმართველობის წევრები.

## 2. საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის შექმნის მეთოდოლოგია

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნა (საკითხის ინიცირება ხდება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის მიერ, მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე);

- პასუხისმგებლობების გაზიარება და გადანაწილება;
- სამუშაო ჯგუფში, ერთი მიმართულების ფარგლებში, სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების ჩართვა;
- მუშაობის სტრატეგიის დასახვა და პერიდულობის განსაზღვრა;
- სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებული ანალიზი;
- განსავითარებელი მხარეების აღმოჩენის აღქმა, როგორც შესაძლებლობისა და არა სისუსტის;

- გამოკვეთილი კარგი პრაქტიკის შენარჩუნება;
- ანალიზის საფუძველზე ცვლილებების განხორციელების გზები და შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ 2-3 მომხიბლავი პროგრამის მოძიება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე;
- მოძიებული პროგრამების სტრუქტურის, პროგრამის კურსების შინაარსის და/ან განსაკუთრებული სიახლის დასანერგად მისი პოზიციის განსაზღვრა შესამუშავებელ პროგრამაში;
- პროგრამის სტრუქტურის შინაარსობრივი გამართვა და/ან გადახედვა, კრედიტებით დატვირთვის მიხედვით;
- სწავლის შედეგების შემუშავება, როგორც სასწავლო კურსის, ასევე პროგრამის დონეზე, რუქების აგება ან/და გადახედვა;
- სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება;
- აკადემიური პერსონალის გამოცდილების რეფლექსია;
- რა გვითხრეს სტუდენტებმა (ფორმალური/არაფორმალური კომუნიკაცია) გაზიარება;
- რა ჭირდებათ სტუდენტებს (ვისგან? რატომ/)? საფუძვლიანი მოთხოვნების გათვალისწინება;
- დარგის ტენდენციების ინტეგრირება საუკეთესო პროგრამების გათვალისწინებით;
- ლიტერატურა/რესურსი - მოძიება/განახლება/ჩანაცვლება;
- სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების (პრაქტიკის კომპონენტი, კვლევითი კომპონენტი) გადახედვა/განახლება/შეცვლა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან და/ან პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმების/ ხელშეკრულებების გადახედვა/განახლება;
- დასაქმების ბაზრის კვლევაში ჩართულობა, დამსაქმებლებთან აქტიური ურთიერთობა;
- ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის რევიზია;

## 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების როლები და ფუნქციები:

### 2.2.1. დამსაქმებლის შერჩევის მეთოდოლოგია/სტრატეგია

☐ ვინ უნდა იყვნენ დამსაქმებლები (პიროვნული მახასიათებლები)?

- დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია;
- ადამიანი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტთან თანამშრომლობა;
- თავისი ინტერესები დაწესებულებასთან მიმართებით შემდგომში ხარისხიანი კადრების შერჩევა/მოძიების მიზნით;
- დამსაქმებელი, რომელსაც აქვს ძლიერი საკომუნიკაციო უნარი;

☐ რა საკითხებს ფარავს დამსაქმებელი?

- ✓ პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების რელევანტურობა დასაქმების სეგმენტში არსებულ მოთხოვნებთან;
- ✓ პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვა/შესრულება პროგრამის ფარგლებში;
- ✓ სტუდენტის რეალურ სამუშაო გარემოში ჩართვა;
- ✓ საკომუნიკაციო/გაცნობითი აქტივობების დაგეგმვა (სემინარი, ვორქშოპი და სხვ.);
- ✓ საჯარო ლექციების გამართვა;
- დამსაქმებლის მოზიდვა, როგორც პედაგოგების (სასწავლო პროცესში ჩართვა).

☐ რა ფორმით ვაწვდით დამსაქმებელს პროგრამას?

- პროგრამას ან მის მოდულებს ვუზღავნით ელექტრონულად უკუკავშირისთვის;
- ვიწვევთ პროგრამის პრეზენტაციებზე;
- დამსაქმებელთან ურთიერთობის ფორმა შეიძლება იყოს კითხვარების გამოყენება, რომლებიც მოიცავს პროგრამის თემატიკას;

## 2.2.2. სტუდენტის შერჩევის მეთოდოლოგია/სტრატეგია

- საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტი (ჩართულობის სურვილის მქონე);
- ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში;
- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება;
- პრიორიტეტულად განსხვავებული პერსპექტივების დასახვა;

### რას საკითხებს ფარავს სტუდენტის ჩართულობა?

- მიმდინარე აკადემიური ტენდენციების შესახებ სტუდენტური რეფლექსიის ასახვა;
- რეფლექსია კონსულტაციის შესაძლებლობებზე;
- შეხედულებები არსებულ სტუდენტურ სერვისებზე;
- ახალი იდეების გენერირება სტუდენტური პერსპექტივებიდან;
- სწავლა/სწავლების მეთოდებზე რეფლექსია;
- კვლევითი კომპონენტის განხორციელებაზე რეფლექსია;
- ადამიანური/მატერიალური რესურსების შესახებ კრიტიკული შეფასების მიწოდება;
- რეფლექსია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებასა და მის ეფექტურობაზე;
- რეფლექსია შეფასებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ;
- რეფლექსია პრაქტიკის ეფექტურობასა და დამატებითი საჭიროებების შესახებ;
- კრიტიკული პოზიციების მიწოდება კარიერული დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით;
- საერთაშორისო სტუდენტის შემთხვევაში ინტეგრაციის მექანიზმები, თანამშრომლობის გზები;
- სტუდენტთან ურთიერთობის ფორმა შეიძლება იყოს კითხვარების გამოყენება, რომლებიც მოიცავს საუნივერსიტეტო გარემოთი და საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების თემატიკას;

### 2.2.3. კურსდამთავრებულის შერჩევის მეთოდოლოგია/სტრატეგია

- პროგრამის/ფაკულტეტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა;
- პრიორიტეტული კურსდამთავრებულთა ჩართვისათვის მაქსიმალურად ლიბერალური გარემოს შექმნა, სადაც ყველა კურსდამთავრებულს ჩართვის დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობა აქვთ;
- პრიორიტეტული საშუალო აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებული;

- სტუდენტობის პერიოდში საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობის მაღალი ხარისხი;
- გაცვლით პროგრამებში გამოცდილების ქონა;
- კურსკულუმში გამოვლენილ სირთულეებზე რეფლექსიის უნარი;
- სწავლის მეთოდებისა და შეფასების სისტემის შესახებ კრიტიკული რეფლექსია;
- კრიტიკული ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალისადმი;
- პოსტ-დიპლომური სამუშაო გამოცდილებისა და მასთან დაკავშირებული რეალური სირთულეების გაზიარება (მეგონა ყველაფერი ვიცოდი, სამსახური დავიწყე და გავიგე, რომ...);
- რეფლექსია საკუთარი დასახული მიზნების და მიღწეული შედეგების შესახებ საუნივერსიტეტო გამოცდილებიდან;
- არაფორმალური კომუნიკაცია და სხვ. კურსდამთავრებულთა გამოცდილების გაზიარება;
- კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის ფორმა შეიძლება იყოს კითხვარების გამოყენება, რომლებიც მოიცავს საუნივერსიტეტო გარემოთი და საგანმანათლებლო პროგრამით მიღწეული სწავლის შედეგების კმაყოფილების თემატიკას;

### **2.3. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება**

2.3.1. შემუშავებული და დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებს საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში და უნდა ფასდებოდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ; ხოლო ამ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2.3.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.

2.3.3. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, თანხმობის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას გადაუგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენამდე არაუგვიანეს 2 თვისა და აწვდის შემდეგ დოკუმენტაციას:

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ გაცემული სავალდებულო ლიტერატურის სრულყოფილად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ბიუჯეტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები (წარდგენის მომენტში არსებული სახით);
- ფაკულტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევები;
- მაგისტრატურის/დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში).

2.3.4. განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის **თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისა** და აკრედიტაციაზე წარდგენის მიზნით, აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის შესაბამისად ქმნის თვითშეფასების ჯგუფს.

2.3.5. თვითშეფასების მიზანი:

- ინსტიტუციის საქმიანობის ანალიტიკური შეფასება;
- პროგრამის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების ანალიზი;
- გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათ აღმოსაფხვრელად გზების დასახვა;
- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე პროგრამის გაუმჯობესების გზების დასახვა;
- რეალისტური სურათის ასახვა.

2.3.6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მომზადებული თვითშეფასების ანგარიშს თანდართულ დოკუმენტებთან და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

2.3.7. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

2.3.8. აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აკრედიტაციის მოპოვების მიზნით.

2.3.9. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცედურების გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტი უფლებამოსილია აამოქმედოს საგანმანათლებლო პროგრამა.

### 3. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

3.1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

3.2. ცვლილებების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა;

3.3 პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება აგრეთვე გახდეს სააკრედიტაციო ან პროგრამის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით;

3.4. პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი/ები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირები. მიღებული გადაწყვეტილება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს;

3.5. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინფორმაცია ცვლილების შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ცვლილების განხორციელებასთან;



3.6. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის (ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტების დამატება ან/და ამოღება, ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო კომპონენტებისთვის მინიჭებული კრედიტების ცვლილება, მოდულის დამატება ან/და ამოღება, დამატებითი სპეციალობის პროგრამის დამატება ან/და ამოღება) ცვლილების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი. ამ პუნქტის მიხედვით განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და მოდიფიცირებული პროგრამა თანმხლები დოკუმენტებით ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

3.7. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები აისახება პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშებში, რომელსაც აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და მომდევნო სემესტრის დადგომამდე წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

3.8. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების სისტემატიზაციის მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს **მონაცემთა ბაზას** (დანართი 2.), რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები შესაბამისი გადაწყვეტილებების (საბჭოს სხდომის ოქმის ნომერი, თარიღი და სხვ.) მითითებით.

დანართი 2. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების მონაცემთა ბაზა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი -

| #  | პროგრამის დასახელება<br>სწავლების ენა | მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>(კვალიფიკაციის კოდით)<br>ECTS | პროგრამის სტატუსი<br>შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი<br>პროგრამის მოქმედების ვადა | ანგარიშის/რეაკრედიტაციისთვის წარდგენის თარიღი | აკრედიტაციის მინიჭებიდან საგანმანათლებლო<br>პროგრამაზე ჩატარებული აკრედიტაციის<br>სტანდარტებთან თავსებადობის ყველა სახის<br>ადმინისტრაციული წარმოების მითითება<br>(არსებობის შემთხვევაში). წარმოების სახის<br>დასახელება (აკრედიტაციის პირობების შემოწმება -<br>გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი,<br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის<br>საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე<br>ანგარიშის წარმოება); აკრედიტაციის საბჭოს მიერ<br>ზეპირ მოსმენაზე საკითხის განხილვის თარიღი;<br>აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი და<br>თარიღი<br>- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ნომერი და<br>თარიღი | პროგრამაში<br>განხორციელებუ<br>ლი ცვლილება | თვითშეფასების<br>ანგარიშის<br>მომზადებაზე<br>პასუხისმგებელი<br>პირები და მათი<br>პასუხისმგებლობ<br>ის სფეროები |
|----|---------------------------------------|------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1. |                                       |                                                            |                                                                                               |                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                            |                                                                                                                |
| 2. |                                       |                                                            |                                                                                               |                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                            |                                                                                                                |
| 3. |                                       |                                                            |                                                                                               |                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                            |                                                                                                                |
| 4. |                                       |                                                            |                                                                                               |                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                            |                                                                                                                |
| 5. |                                       |                                                            |                                                                                               |                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                            |                                                                                                                |
| 6. |                                       |                                                            |                                                                                               |                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |                                            |                                                                                                                |

#### 4. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

4.1. პროცესი ეფუძნება უნივერსიტეტის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარე შიდა შეფასებას, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო სფეროში არსებული სტანდარტებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.

4.2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ემყარება რეგულარული მსჯელობისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რომელიც აისახება პერიოდულ ანგარიშებში. ანგარიშებში ფიქსირდება საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებელი სფეროები და განხორციელების გზები.

4.3. გაუმჯობესების პროცესი ძირითადად მოიცავს უნივერსიტეტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრულ მიმდინარე ან დაგეგმილ აქტივობებს, როგორც შემდგომი დაგეგმვის ციკლის ნაწილს.

4.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს შეხვედრებს, ტრენინგებს - სწავლა/სწავლების მეთოდების, სტუდენტთა შეფასების მეთოდების შესახებ, რომელიც გამოიყენება ხარისხის გასაუმჯობესებლად:

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ადგილობრივი, რესპუბლიკური, საერთაშორისო);
- სხვადასხვა ტრენინგებსა და პროექტებში მონაწილეობა;
- გამოცდილების გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა;
- საჯარო ლექციები;
- პრეზენტაციები (პუბლიკაციების, წიგნების, სახელმძღვანელოების);
- საჭირო რესურსების შექმნა (რიდერები, გზამკვლევები);
- მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.

4.6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სილაბუსების განვითარება. სილაბუსებში შეტანილი/დანერგილი იქნეს:

- Erasmus+-ASSET პროექტის ფარგლებში მომზადებული და პილოტირებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები;
- Erasmus+-CURE-ს ფარგლებში მომზადებული სწავლისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდები;
- ინტენსიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლებაში სხვადასხვა სოფტების გამოყენებით (MINDOMO, Thinglink,...) პლაგიატის პრევენციის მიზნით კონკრეტულ საგნებში სილაბუსით გათვალისწინებული ყველა წერითი დავალება შემოწმებულ იქნეს Turnitin-სოფტის უკუკავშირის სტუდიოს გამოყენებით (ყველა წერითი დავალების პლაგიატზე შემოწმება და სტუდენტის ნაშრომზე უკუკავშირი).
- სტუდენტებისთვის, მათი სურვილის გათვალისწინებით შეთავაზებული იქნეს დამატებითი სერვისები აკადემიური წერის ცალკეულ მოდულებში, საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენებაზე, TURNITIN-ში ნაშრომების განთავსებასა და შემოწმებაზე;

#### 5.პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი

5.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქმებლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები;

5.2. აღნიშნული პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევის მეთოდით;

5.3. კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით;

5.4. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს შესაბამის მიმართულებებს - უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით.

5.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს;

5.6. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი ან/და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (მემორანდუმები).

5.7. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული დასკვნები პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევთ მიმართულებებს - უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ შრომის ბაზრის მოთხოვნები, დამსაქმებლების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით.

## 6. გარე ხარისხის შეფასება

6.1. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა (ავტორიზაციის ვადა განისაზღვრება 6 წლით).

- აკრედიტაცია არის აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე რეგულირებადი და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

- საგანმანათლებლო პროგრამის (გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელსაც დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში უწყვეტად ახორციელებს არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში) პირველი აკრედიტაციის ვადა 4 წელია. აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციის ვადა, აგრეთვე იმ საგანმანათლებლო პროგრამის პირველი აკრედიტაციის ვადა, რომელსაც დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში უწყვეტად ახორციელებს არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში, არის 7 წელი.

6.2. უცხოელი ან უცხოეთში მოღვაწე ექსპერტისა ან/და გარე შემფასებლის მიერ გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

6.3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამწლიანი თვითშეფასების ანგარიშის მომზადება.

## 7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

7.1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები. მაგალითად, პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არ არსებობა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ან ავტორიზაციის ვადის გასვლა და სხვა;

7.2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის/ების ინიცირებით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით გადაწყვეტილება იღებს ფაკულტეტის საბჭოზე;

7.3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს შმდგომი რეაგირებისათვის;

7.4. აკადემიური საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურისტს და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

7.5. იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების“ შესახებ“, უნივერსიტეტის

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის „სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის“ შესაბამისად.

## 8. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „PDCA“ პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

8.1. პროგრამის შიდა შეფასება ხორციელდება აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;

8.2. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად;

8.3. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ);

8.4. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური/ მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის იმავე უსდ-დან, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ) დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

8.5. ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება კურსის დასახვეწად;

8.6. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან ერთად ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის, აკადემიური პერსონალის დატვირთვებისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობას.



ყოველი სემესტრის განმავლობაში პერიოდულად გამოიკითხავს სტუდენტებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით დაკმაყოფილების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობის შესახებ.

**აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი.** ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები სასწავლო პროცესების მართვის შიდა ბაზის მეშვეობით აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული საგამოცდო პერიოდის დასრულების შემდეგ, სემესტრის ბოლოს, ახდენენ აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რადგან სტუდენტთა აკადემიური მოსწრება სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად მის ყველაზე აღიარებულ ინდიკატორს წარმოადგენს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი; შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა პროგრამის მიზნებთან და სტუდენტთა ჯგუფის შესაძლებლობებთან; აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები; კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (EGTS) შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების შკალა, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას: საუკეთესო სტუდენტების (მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი - სტუდენტთა შესაბამისად 10-10%-ს. სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი/ მაგისტრატურა) არსებულ განსხვავებებს გარკვეული კორექტივები შეაქვს განაწილების ამ მოდელში. მაგისტრანტებს ბაკალავრებთან შედარებით უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ ყველა საგანში. ამ ფაქტის ასახსნელად რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- მაგისტრატურაში, როგორც წესი, ხდება საუკეთესო სტუდენტების სელექცია;
- მაგისტრატურაში სტუდენტთა სწავლის მოტივაცია განსხვავდება ბაკალავრიატისაგან: ასაკით უფრო მოწიფული სტუდენტები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას;
- მაგისტრატურის ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, რაც სტუდენტებთან მუშაობის უკეთეს პირობებს ქმნის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები სასწავლო პროცესების მართვის შიდა ბაზის მონაცემთა დამუშავების შედეგად, წელიწადში ერთხელ, ქმნიან ანგარიშს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი, სავალდებულო კომპონენტების მიხედვით, რომელიც გამოიყენება პროგრამის ხელმძღვანელებისა და ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების დახვეწასა და

განვითარებისათვის. აღნიშნული შედეგები აისახება პროგრამის ხელმძღვანელის წლიური თვითშეფასების ანგარიშში ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარსადგენად.

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
- შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად;
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის იმავე უსდ-დან, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ) დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კითხვარს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება კურსის დასახვეწად;
- პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

## 9. პროგრამის შეფასება ხელმძღვანელის მიერ

9.1. პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის დასასრულს ამზადებს პროგრამის განვითარების შესახებ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოზე წარსადგენად, რომელშიც აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივ მდგომარეობას და

აფიქსირებს პროგრამის შიდა და გარე შემფასებლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს; რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღწერს ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს.

9.2. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მზადდება სამწლიანი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირების შემდეგ წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რის შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი მსვლელობისათვის. მომზადებული ანგარიში იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9.3. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს სასწავლო კურსების ლექციებზე დასწრებას, რის შემდეგაც აკეთებს ანალიზს, რომელიც აისახება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარებისათვის.

პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ: შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
- განხორციელებული შეფასების შედეგები (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები);
- პროგრამის ხელმძღვანელის მეცადნეობებზე დასწრების შედეგების ანალიზი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში.

**შიდა შეფასების ანგარიშები.** გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გამოკითხვები ტარდება ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი დარგის გარე ექსპერტები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება ხორციელდება ყოველწლიურად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში დგინდება შემოწმების სხვა ინტენსივობა.

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის შესაბამისად“:
- ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის სასწავლო წლის ანგარიში;
- ბ) სააუდიტორიო მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის დასწრების მიხედვით;
- გ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების მიხედვით;
- დ) თითოეული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტების გამოკითხვების მიხედვით (აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ე) აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება კითხვარების საშუალებით.

**აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანია:**

სწავლება/სწავლის პროცესის არსებული მდგომარეობის განსაზღვრა; აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება სწავლა/სწავლების პროცესში; აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარება; არსებული სასწავლო რესურსების სრულად გამოყენების შეფასება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და შემდგომი სრულყოფის გზების დასახვა; აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელშეწყობა სწავლება/სწავლის, პედაგოგიკის ასპექტებისა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ტრენინგების

უზრუნველყოფით; აკადემიური/მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა სწავლა/სწავლების არსებული პრაქტიკის კოლეგიალურ განხილვაში საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე; სწავლა/სწავლების საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა და იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის წახალისება, რომელიც ეფექტურად იყენებს სწავლება/სწავლის მეთოდებს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად; უზრუნველყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და გეგმების განხორციელებაში.

- თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება ურთიერთდასწრების გრაფიკი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას:
- ა) სააუდიტორიო მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დასწრების შესახებ;
- ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების შესახებ.
- ურთიერთდასწრების გრაფიკის შემუშავებაში ჩართულია: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი კი ჩართულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების გრაფიკის შემუშავებაში დასწრების სურვილის არსებობის შემთხვევაში, რადგან ეს საკითხი ნებაყოფლობითია.
- შემუშავებული ურთიერთდასწრების გრაფიკი განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, პერსონალის ინფორმირებულობის მიზნით, გრაფიკის ამოქმედებამდე ერთი-ორი კვირით ადრე.
- სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია მეცადინეობის დაწყებამდე სტუდენტებს აცნობოს, რომ მათ ესწრება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომლის მიზანია სწავლების პროცესზე (და არა სტუდენტებზე) დაკვირვების საშუალებით საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება (სრულყოფა/დახვეწა), ხოლო აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების მიზანია კოლეგებს შორის მოხდეს სწავლა/სწავლების ან/და შეფასების სისტემის კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.
- ურთიერთდასწრების ფორმატი ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ლექცია-სემინარზე დაკვირვების ოქმის წარმოებას ხოლო აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმის წარმოებას.

- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის/აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით.
- მიღებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი და რეკომენდაციები მომზადდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაცული იყოს შედეგების ანონიმურობა). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ურთიერთდასწრებისა და სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიშებს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით განსახორციელებელი რეკომენდაციების განხილვა მოხდება ერთობლივად, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.

#### მუხლი 5.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

ეს წესი არეგულირებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

1.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ახორციელებს როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე სასწავლო საქმიანობას.

1.2. აკადემიური პერსონალისთვის უნივერსიტეტი განსაზღვრავს ანაზღაურებად შრომასთან დაკავშირებულ აქტივობებს და ადგენს ამ აქტივობათა დატვირთვის სქემას.

1.3. უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი საქმიანობას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების საერთო რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობა/აკადემიური ჯგუფების რაოდენობა უსდ-ში/ფაკულტეტზე/პროგრამაზე;



- სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების რაოდენობისა და აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის შესაბამისობა;
- უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტი;
- აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგო.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
- პარტნიორი და სხვ. უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკა.

1.2. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტში არსებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის შესაბამისად, უნდა ითვისებდეს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების აკადემიური საათების არანაკლებ 50 %-ს. შესაბამისად, მოწვეული პერსონალი არაუმეტეს - 50%-ისა.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პერსონალის რაოდენობა გადანაწილდება არსებული მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის შესაბამისად, აკადემიური საათების პროპორციულად.

## 2. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი

2.1. აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა აკადემიური თანამდებობების მიხედვით (ასისტენტი, ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი) გადანაწილდება შესაბამისი მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების, სამეცნიერო-კვლევებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით;

2.2. ამ წესის შესაბამისად ფაკულტეტების საბჭოები განსაზღვრავენ და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენენ აკადემიური პერსონალის რაოდენობას თანამდებობების მიხედვით.

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალისადმი ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა სასწავლო კურსებთან, სათანადო მოტივაცია და საქმიანობის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, რაც სხვა



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ აკადემიურ დატვირთვასა და სხვა განხორციელებული სამუშაოების მოცულობაზეა დამოკიდებული.

## მუხლი 6.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

### 1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

დაფუძნებულია უნივერსიტეტის რესურსებზე, სათანადო ინდიკატორებზე, რაოდენობრივ მაჩვენებლებსა და სამიზნე ნიშნულებზე.

მეთოდოლოგიის მიზანია, დაეხმაროს უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების სწორად განსაზღვრაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობა და მათი ეფექტიანი განხორციელება.

უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების ერთწლიან, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

### 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ზოგადი კრიტერიუმები:

#### ა) მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ ტენდენციებსა და კრიტერიუმებს:

- მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩარიცხვის მსურველ პირთა შესახებ მონაცემებს;
- მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩარიცხულ სტუდენტთა მონაცემებს;
- მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში სტუდენტთა მობილობის და შიდა მობილობის შესახებ მონაცემებს;

- კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ჩატარებულ ბაზრის კვლევებს, რომლებიც ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, განსაკუთრებით ახალი პროგრამის ინიცირების ან არსებულში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დროს;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს;
- ადამიანური (აკადემიური /სამეცნიერო /მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალური, ფინანსური და საბიბლიოთეკო რესურსებით პროგრამების უზრუნველყოფის მდგომარეობას და ა. შ.

#### **ბ) ახალი პროგრამის შემთხვევაში**

- ახალი პროგრამების დაგეგმვის შემთხვევაში გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის კვლევა;
- დამსაქმებლების კვლევა;
- სხვა უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილება;
- პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის უზრუნველყოფა ადამიანური (აკადემიური /სამეცნიერო /მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი) რესურსებით.

#### **გ) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა სწავლების საფეხურების მიხედვით**

უნივერსიტეტის პერსპექტივების, მისი სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემო ცვლილებების გათვალისწინებით გამოკვეთილი ტენდენციის შესაბამისად, ყოველწლიურად განისაზღვრება მისაღები კონტინგენტი თითოეული პროგრამის მიხედვით კონკრეტული სასწავლო წლისათვის. კონტინგენტის ფორმირება სწავლების კონკრეტულ საფეხურზე ხასიათდება დამატებითი თავისებურებებით:

- ბაკალავრიატში გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისა და/ან მისი ცალკეული კომპონენტის სპეციფიკა;
- მაგისტრატურაში გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც იქნებიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები;
- დოქტორანტურაში ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას დოქტორანტების პოტენციურ ხელმძღვანელთა შესაძლებლობა და მზაობა;

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისათვის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცენტული მაჩვენებლები ბაკალავრიატში კონკრეტული სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტიდან გამომდინარე, კერძოდ, აზერბაიჯანულენოვანთათვის 5%, სომხურენოვანთათვის 5%, აფხაზურენოვანთათვის 1% და ოსურენოვანთათვის 1%.
- მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 აგვისტოს #147/ნ ბრძანებით.
- დამატებითი პროგრამებისათვის კონტინგენტის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება დამატებითი პროგრამის მსურველთა რაოდენობა, თუ მათი რიცხვი 15 სტუდენტზე ნაკლებია, დამატებითი პროგრამა არ გაიხსნება და შეთავაზებული იქნება სხვა არჩევანი (გამონაკლისი შემთხვევა განიხილება უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების მიერ).
- კონკრეტულ პროგრამაზე მობილობით მისაღები სტუდენტების მაჩვენებელი განისაზღვრება პროგრამაზე მისაღები გეგმიური მაჩვენებლიდან, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობიდან და პროგრამაზე სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, კერძოდ, პროგრამაზე მისაღები გეგმიურ მაჩვენებელს ემატება პროგრამაზე სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა და აკლდება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

### 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის რაოდენობრივი მახასიათებლები

- 3.1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადამიანური (აკადემიური /მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალური, ფინანსური და საბიბლიოთეკო რესურსების საკმარისობის პირობებში უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი, სტაბილური, ეფექტიანი ფუნქციონირება და სტრატეგიული და ტაქტიკური სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.
- 3.2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანურ (აკადემიური/ მოწვეული /ადმინისტრაციული პერსონალი), მატერიალურ, ფინანსურ და საბიბლიოთეკო რესურსებს გააჩნიათ რაოდენობრივი მახასიათებლები:
- 3.3. ადამიანური (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი) პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ აღემატება 1/20;
- 3.4. ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა კონტინგენტთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/50-ს;

3.5. ხელმძღვანელებისა და ბაკალავრების/მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა არ აღემატება 1/5.

## მუხლი 7.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარმოდგენის საგალდებულო ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი - დანართი 3. (პროგრამის ფორმა)

საბაკალავრო (დამატებითი), სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

1. ფაკულტეტის დასახელება -

2. პროგრამის სახელწოდება - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან. სწავლის სფეროს დასახელება ასევე, არ უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა, ინსტიტუტი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა სახის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული) დასახელებასა და საქმიანობას.

3. უმაღლესი განათლების აკადემიური საფეხური - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა;

4. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (აკადემიური, ძირითადი და/ან დამატებითი);

5. სწავლების ენა;

- პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.
- პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების ენა, პროგრამის შესაბამისად.
- საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

- უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება ქართულენოვან ანალოგთან ერთად ალტერნატივის სახით. მისი გავლის წინაპირობას წარმოადგენს უცხოური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურება.

## 6. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);

6.1. უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.

6.2. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელებია:

| ბაკალავრიატში                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | მაგისტრატურაში                                                                                                                                                                                                                                                                                                                             | დოქტორანტურაში      |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|
| ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი Bachelor of Arts /BA მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Science /BSc სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Music /BMus ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Fine Arts/ BFA ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration /BBA ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Engineering /BEng ბაკალავრი Bachelor | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი Master of Arts /MA მეცნიერების მაგისტრი Master of Science /MSc სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი Master of Music /MMus ხელოვნების მაგისტრი Master of Fine Arts / MFA ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration /MBA ინჟინერიის მაგისტრი Master of Engineering /MEng მაგისტრი Master | დოქტორი PhD/ Doctor |

6.3. უმაღლესი განათლების პირველ და მე-2 საფეხურებზე კონკრეტული კვალიფიკაციების ქართული და ინგლისურენოვანი დასახელებები განისაზღვრება სწავლის სფეროების მიხედვით, ამ მუხლის ქვემოთ მოცემული პუნქტების შესაბამისად.

- ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭება ხორციელდება იმ ვიწრო სფეროდან, რომლის სწავლის შედეგად დომინირებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.
- კვალიფიკაციის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.
- კლასიფიკატორის დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში.
- კვალიფიკაცია – „ბაკალავრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.
- კვალიფიკაცია – „მაგისტრი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ ან მე-2 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.
- კვალიფიკაცია – „დოქტორი“ ენიჭება დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.

## 7. პროგრამის მოცულობა: CTS კრედიტი

7.1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

7.2. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

7.4. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.

7.5. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

7.6. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.

7.7. უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის 68 სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.

7.8 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

7.9. უსდ უფლებამოსილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს, ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი უნდა ითვალისწინებდეს დათქმებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების შესახებ.

## **8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას; ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

## **9. პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები;**

- პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერეტუსი; განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი თუკი პროგრამა არის დარგთაშორისი (ინტერდისციპლინარული) ან პროგრამას გააჩნია სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების მოდულები.



- პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.
- პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და სილაბუსების ხარისხზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია მის მიერ წაკითხული აკადემიური კურსის სილაბუსის ხარისხზე.
- პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
- პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: კოორდინირება გაუწიოს სტუდენტებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.
- სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო (დამატებითი), სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას.
- უცხოენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამას უნდა დაერთოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.
- პროგრამის ხელმძღვანელი არის უსდ-ს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით/საშემსრულებლო შემოქმედებითი საქმიანობით;
- პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში და მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში.

- პროგრამის სწავლა/სწავლების, სწავლის შედეგების შეფასებისა და ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია დაესწროს ლექცია/სემინარულ/პრაქტიკულ/ ლაბორატორიულ მეცადინეობებზე მის მიერ შედგენილი და ფაკულტეტის საბჭოზე დამკვიცრებული განრიგის მიხედვით.
- პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა აწარმოოს ლექცია/სემინარზე დაკვირვების ოქმები და მიღებული შედეგების ანგარიში სემესტრის დასრულებისას წარმოადგინოს ფაკულტეტის საბჭოზე.

**7. პროგრამის აკრედიტაცია:** აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, თარიღი)

#### **8. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და ასახავდეს თუ რა ტიპის სპეციალისტის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. იყოს დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული და მიღწევადი; (დასაქმების სფეროს განსაზღვრისას რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

#### **9. სწავლის შედეგი**

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებსა და მოიცავდეს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას; პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, უნდა შესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, არსებობის შემთხვევაში დარგობრივ მახასიათებელს; სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლეოდეს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; პროგრამის სწავლის შედეგების

შემუშავებაში უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული აკრედიტაციის სახელმძღვანელო).

კვალიფიკაციის დონე წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარით“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს, შემდეგი სახით:

| კვალიფიკაციის დონე | ცოდნა და გაცნობიერება                                                                                                                                                            | უნარი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|--------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>დონე 6</b>      | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის | კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება. |

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

|               |                                                                                                                                                                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|---------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|               |                                                                                                                                                                                                                                                 | სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <b>დონე 7</b> | სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის. | უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. | კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. |

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

|                      |                                                                                                                                                                                                                                                                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|----------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>დონე 8</b></p> | <p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გაზრება.</p> | <p>აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავება, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება (კვლევის ან/და ინოვაციაში). არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.</p> | <p>აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება ხელმძღვანელობით, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.</p> |
|----------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

**13. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტები და სასწავლო გეგმა**

სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტის მინიჭება. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:

- ა) სახელწოდება;
- ბ) მოცულობა კრედიტებით;
- გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (საკონტაქტო - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/ლაბორატორიული/პრაქტიკა და სხვ., შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო და დამოუკიდებელი მუშაობა) გათვლილი ასტრონომიულ საათებში;
- დ) სწავლების სემესტრი;
- ე) კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მატრიცა;

- პროგრამის ფორმა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით;
- პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს;
- პროგრამის შინაარსი შეესაბამება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;
- პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნირო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და სტრუქტურულად დალაგებული;
- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია;
- პროგრამა განსაზღვრავს სტუდენტების მოსალოდნელ სასწავლო დატვირთვას ECTS-ის კრედიტებით;
- პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს, დარგის თანამედროვე მიღწევებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს;
- პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი);

#### 14. სწავლის შედეგების რუქა

14.1. სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს **სწავლის შედეგების რუქა**, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით განსაზღვრულ კომპეტენციებთან. კურიკულუმის რუქის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუქაზე ყურადღება ექცევა, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს (მაგ., სასწავლო კურსი „ბ“); ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს (მაგ., პროგრამის სწავლის შედეგი 2). პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს).

14.2. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ბმა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუკი ვამბობთ, რომ ესა თუ ის კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. შესაძლებელია ასევე, უბრალოდ აღნიშვნის ნაცვლად, ისიც მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს:

- 1 - გაცნობა;
- 2 - გაღრმავება;
- 3 - განმტკიცება.

#### 15.სწავლის შედეგების შეფასება

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ✓ პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;
- ✓ სამიზნე ნიშნულები;
- ✓ სწავლის შედეგების შეფასება და სტუდენტის შეფასება;

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. მაგ., სტუდენტების 60% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველი სწავლის შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებთ ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაც 20 ქულა). იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები).

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ



რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ პესონალთან ერთად. მათ მიერ ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების დადარება.

**სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს:** გარკვეულ, კონკრეტულ/განმამტკიცებელ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიან შეფასებას, გარკვეული პერიოდულობით, სწავლის შედეგების შეფასების რუქის შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალებია: (სტუდენტთა ნაშრომები, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომები, პრეზენტაციები, ესე, საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში რეპეტიტორიუმები (capstone course), პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, ტესტი, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. დამატებითი გამოცდა, რომელსაც კრედიტი არ ენიჭება და ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.

აღნიშნული შეფასებისას გამოვლინდება სამიზნე ნიშნულები, რომლის მიხედვითაც ხდება ანალიზის გაკეთება, თუ სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, რამდენმა პროცენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლა.

**სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს:** სტუდენტის მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ არის სტუდენტის მიერ კურსის შეფასება ან კმაყოფილების კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებას.

**ინდიკატორები/მტკიცებულებები:** სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები), გამოკითხვები.

| სწავლის<br>შედეგები | სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები |     |              |     | სამიზნე<br>ნიშნულები |
|---------------------|--------------------------------------|-----|--------------|-----|----------------------|
|                     | პირდაპირი                            |     | არაპირდაპირი |     |                      |
|                     | მეთოდი                               | დრო | მეთოდი       | დრო |                      |
| 1                   |                                      |     |              |     |                      |
| 2                   |                                      |     |              |     |                      |
| 3                   |                                      |     |              |     |                      |

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### 16. დასაქმების სფერო

#### 17. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვა)

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრების/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- სასწავლო/სამეცნიერო/საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) მომზადება- ჩაბარებას
- საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადებას
- სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას
- შემოქმედებით პროექტზე მუშაობას
- სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები

## 18. სტუდენტის შეფასება

- უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ასევე კონკრეტული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს, რაც დეტალურად უნდა აღიწეროს კონკრეტული სასწავლო კურსის /მოდულის სილაბუსში);
    - სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი;
    - თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს;
    - შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი თანამედროვე შეფასების მეთოდები და იგი იღებს მხარდაჭერას ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის;
    - შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის;
    - სტუდენტი შეფასებისას იღებს უკუკავშირის მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას;
    - საჭიროების შემთხვევაში, შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. მათ შორის შესაძლებელია გარე ექსპერტის ჩართულობაც;
    - საბაკალვრო ნაშრომების დაცვა ხდება „საბაკალვრო ნაშრომის/პროექტის შემუშავების ინსტრუქცია და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად“;
    - სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა ხდება „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის“ შესაბამისად;
    - სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად;
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

## 19. სწავლება/სწავლის მეთოდები

უნდა აღიწეროს სწავლების რა მეთოდები იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში; პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- ლექცია;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- სემინარი;
- ელექტრონული რესურსით სწავლება;
- ელექტრონული სწავლება;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა;
- სხვა

სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (არასავალდებულო, სარეკომენდაციო ფორმა)

H (high) – მაღალი

M (medium) – საშუალო

L (low) – დაბალი

მაგალითად: (ცხრილში მიუთითეთ შესაბამისი მეთოდები)

| მეთოდები                       | სწავლის<br>შედეგი<br>1 | სწავლის<br>შედეგი<br>2 | სწავლის<br>შედეგი<br>3 | სწავლის<br>შედეგი<br>4 | სწავლის<br>შედეგი<br>5 | სწავლის<br>შედეგი<br>6 | სწავლის<br>შედეგი<br>7 | სწავლის<br>შედეგი<br>8 |
|--------------------------------|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|
| ლექცია;                        | H                      | H                      | H                      | M                      | H                      | M                      | H                      | L                      |
| სემინარი;                      | H                      | H                      | H                      |                        | H                      | M                      | H                      |                        |
| ჯგუფში მუშაობა;                |                        | M                      |                        | H                      | H                      |                        |                        | H                      |
| პრაქტიკული მუშაობა;            |                        | M                      |                        | H                      | H                      |                        |                        |                        |
| ელექტრონული რესურსით სწავლება; |                        |                        |                        | M                      | H                      |                        |                        |                        |
